ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

ჯანდაცვის სკოლის დებულება

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N04.

თარიღი: 10.02.2025 წ.

დადგენილება N54.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N6.

თარიღი: 16.06.2026 წ.

დადგენილება N12.

მუხლი 1. ჯანდაცვის სკოლა

1.1. „ნეუ ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ჯანდაცვის სკოლა (შემდგომში „სკოლა“) არის უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო სტრუქტურული ერთეული, რომელიც აკადემიური თავისუფლებისა და ინსტიტუციური ავტონომიურობის პირობებში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამისა და სამეცნიერო კვლევების მეშვეობით უზრუნველყოფს სტუდენტთა მომზადებას ჯანდაცვის მიმართულებით;

1.2. სკოლა ანგარიშვალდებულია უნივერსიტეტის რექტორის, სენატის და შესაბამისი სტრუქტურული ერთეულების წინაშე;

1.3. სკოლა მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის, წინამდებარე დებულებისა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტების საფუძველზე;

1.4. სკოლას აქვს საკუთარი ბეჭედი.

მუხლი 2. ჯანდაცვის სკოლის მისია, სტრატეგია, მიზანი

2.1. სკოლის მისია

სკოლის მისიაა ხელი შეუწყოს მულტიკულტურული და დემოკრატიული კლიმატის შექმნას, მაღალი სამოქალაქო პასუხისმგებლობის პიროვნების ფორმირებას. ხელი შეუწყოს ისეთი საგანმანათლებლო გარემოს შექმნას, რომელიც ემსახურება საზოგადოების კეთილდღეობას და მის მდგრად განვითარებას. სკოლა ორიენტირებულია უწყვეტ განათლებასა და ინტერნაციონალიზაციაზე, სამეცნიერო კვლევების განვითარებაზე, ინოვაციურ მიდგომებსა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის დანერგვაზე და პროფესიული კომპეტენციების განვითარებაზე. სკოლა მხარს უჭერს ციფრულ ინოვაციებსა და ტექნოლოგიების ინტეგრირებას ჯანდაცვის განათლებაში, რათა მოამზადოს სტუდენტები თანამედროვე გლობალური გამოწვევებისთვის. სკოლა უზრუნველყოფს სხვადასხვა დონისა და მიმართულების ჯანდაცვის საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, მათ შორის რეგულირებადი სამედიცინო განათლების განხორციელებას საერთაშორისო და ეროვნულ სტანდარტებთან სრული შესაბამისობით.

2.2. სკოლის ღირებულებები

სკოლა საკუთარ მისიას განახორციელებს შემდეგ ღირებულებებზე დაყრდნობით:

- აკადემიური თავისუფლება;
- ინტეგრირება;
- ღიაობა;
- მიუკერძოებლობა;
- თანასწორობა;
- პატიოსნება;

- სამართლიანობა;
- კრეატიულობა;
- სოციალიზაცია;
- ინკლუზიურობა;
- ლიდერობა;
- პროფესიონალიზმი;
- სოციალური ჩართულობა;
- საჯაროდ ხელმისაწვდომობა.

2.3. სკოლის მიზნები

ა. სტუდენტებისთვის (მათ შორის უცხოელი სტუდენტებისთვის) და სკოლის აკადემიური თუ მოწვეული პერსონალისთვის ოპტიმალური გარემოს შექმნა, რომელიც უზრუნველყოფს ხარისხიან სწავლებას, სწავლების პროცესს და კვლევით საქმიანობას;

ბ. საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის ერთმანეთთან შეთავსება, რაც ხელს შეუწყობს თანამშრომლობის განვითარებას უცხოეთის წამყვან საგანმანათლებლო ინსტიტუციებთან, აგრეთვე, საერთაშორისო საგანმანათლებლო სივრცეში სტუდენტებისა და აკადემიური/მოწვეული პერსონალის მობილობის ხელშეწყობას;

გ. თანამედროვე სტანდარტებზე დაფუძნებული, პერსპექტიული განათლების მიღების შესაძლებლობის უზრუნველყოფა და სასწავლო - სამეცნიერო პროცესის მუდმივი გაუმჯობესება;

დ. უნივერსალური ღირებულებებისა და პრინციპების დამკვიდრება, საზოგადოების დემოკრატიულ, სამართლიან და ჰუმანურ იდეალებზე ორიენტაციის მხარდაჭერა, რაც აუცილებელია ძლიერი და განვითარებული სამოქალაქო საზოგადოების ფორმირებისთვის.

2.4. სკოლის სტრატეგია

ა. ადაპტირებული იყოს თანამედროვე ტენდენციებსა და დინამიკურად ცვალებადი გარემოს მოთხოვნებთან, რათა მაქსიმალურად უპასუხოს როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო ბაზრის საჭიროებებს;

ბ. ისწრაფოდეს თავისი სფეროს ერთ - ერთ წამყვან საგანმანათლებლო ჰაბად ჩამოყალიბებისკენ არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთლიან რეგიონში;

გ. უზრუნველყოს კონკურენტუნარიანი და ხარისხიანი სწავლება.

მუხლი 3. სკოლის ამოცანები

3.1. მაღალკვალიფიციური პროფესიონალების მომზადება;

3.2. განათლების ევროპულ სივრცეში ინტეგრაციის გაძლიერება და სტუდენტთა მობილობის შესაძლებლობების გაფართოება;

3.3. სტუდენტებისთვის საფუძვლიანი თეორიული ცოდნის გადაცემა და პრაქტიკული უნარ - ჩვევების

განვითარება, რაც მათ მისცემს შესაძლებლობას განაგრძონ სწავლა წამყვან საგანმანათლებლო დაწესებულებებში ან წარმატებით დაიწყონ პროფესიული კარიერა;

3.4. საერთაშორისო სტუდენტებისთვის კომფორტული და მომხიბვლელი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფა;

3.5. უზრუნველყოს ინტერდისციპლინური თანამშრომლობა ჯანდაცვის სხვადასხვა პროფესიის წარმომადგენელთა მომზადების პროცესში.

მუხლი 4. სკოლის სტრუქტურა და მართვა

4.1. ჯანდაცვის სკოლის შემადგენლობა:

ა. სკოლის დეკანი;

ბ. სკოლის დეკანის მოადგილე (არსებობის შემთხვევაში);

გ. კლინიკური უნარების ცენტრი;

დ. კლინიკური სწავლების ცენტრი;

ე. საბაზისო სასწავლო კურსების ცენტრი;

ვ. სტუდენტების კოორდინატორი.

4.2. სკოლის მართვის ორგანო - სკოლის საბჭო.

4.3. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასა და განვითარებას ახორციელებს პროგრამის განმავითარებელი ჯგუფი;

4.4. პროგრამის ხელმძღვანელი, თანახელმძღვანელი (არსებობის შემთხვევაში).

მუხლი 5. სკოლის დეკანი/უფლებამოსილებები

5.1 სკოლას ხელმძღვანელობს სკოლის დეკანი, რომელსაც სკოლის საბჭოს შემადგენლობიდან ხმათა უმრავლესობით ირჩევს სკოლის საბჭო და ნიშნავს რექტორი. სკოლის დეკანი უზრუნველყოფს სკოლის გამართულ და წარმატებულ ფუნქციონირებას;

5.2. სკოლის დეკანის ფუნქციები

ა. უზრუნველყოფს სკოლის სასწავლო საქმიანობის ეფექტურად მიმდინარეობას;

ბ. შეიმუშავებს სკოლის დებულებას;

გ. თავმჯდომარეობს სკოლის საბჭოს სხდომებს;

დ. უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიის შესაბამისად, სკოლის სამოქმედო გეგმის შემუშავება და მისი შესრულების ანგარიშების რექტორისთვის წარდგენა;

ე. ახორციელებს კონკრეტულ ღონისძიებებს სასწავლო წლის/სემესტრის დასაგეგმად: განსაზღვრავს

აკადემიური პერსონალის სასწავლო დატვირთვებს, საშტატო ერთეულების შესაბამისად, მოსაწვევ პერსონალს;

ვ. შეიმუშავებს წინადადებებს საგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამების განახლების, მოდიფიცირების და განხორციელების თაობაზე;

ზ. ფინანსური და მატერიალური რესურსების სამსახურს აწვდის ინფორმაციას მოწვეული პერსონალის მიერ სემესტრის განმავლობაში ჩატარებული საათების რაოდენობის შესახებ;

თ. მონაწილეობს სკოლის ბიუჯეტის შედგენაში;

ი. უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად საკონსულტაციო მომსახურების გაწევას;

კ. მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტის მობილობის პროცესში (ამზადებს მობილობის დასკვნებს - და ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებს) და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესში;

ლ. წარმართავს და ახორციელებს ურთიერთობებს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებთან, პასუხისმგებელია სკოლის იმიჯზე, შიდა და გარე კომუნიკაციებზე;

მ. ახორციელებს ამ დებულებითა და სკოლის დებულებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

ნ. სკოლის საბჭოს ფუნქციები და უფლებამოსილება განისაზღვრება სკოლის დებულებით.

5.3. სკოლის დეკანის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტა

სკოლის დეკანს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა. პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ. გარდაცვალების, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო - უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში;

5.4. სკოლის საბჭო უფლებამოსილია, დეკანის მიერ საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დეკანისათვის დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების და/ან დეკანისათვის შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, მიმართოს რექტორს დეკანის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე;

5.5. რექტორს შეუძლია გაათავისუფლოს დეკანი თანამდებობიდან საქართველოს შრომის კოდექსით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

მუხლი 6. დეკანის მოადგილე/უფლებამოსილებები

6.1. სკოლის დეკანის მოადგილეს დეკანის წარდგინების საფუძველზე ნიშნავს უნივერსიტეტის რექტორი. სკოლის დეკანის მოადგილე უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის გამართულ და წარმატებულ ფუნქციონირებას;

6.2. სკოლის დეკანის მოადგილის ფუნქციებია:

ა. ახორციელებს დატვირთვების განაწილებას;

ბ. მონაწილეობას იღებს უნივერსიტეტში მობილობის პროცესში (ამზადებს მობილობის დასკვნებს - და

ინდივიდუალურ საგანმანათლებლო პროგრამებს) და სტუდენტის სტატუსის აღდგენის პროცესში;

გ. ამზადებს სალექციო, შუალედური და დასკვნითი გამოცდების ცხრილებს;

დ. უზრუნველყოფს დიპლომების მომზადებას კურსდამთავრებულთათვის გასაცემად. ამზადებს დიპლომების დანართებს;

ე. მეთვალყურეობს სკოლაში დასაქმებულთა მიერ უფლებამოსილებების განხორციელებას, ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულებასა და უნივერსიტეტის შინაგანაწესის დაცვას;

ვ. უზრუნველყოფს გამოცდების ორგანიზებას და სტუდენტთა მოსწრების მონიტორინგს;

ზ. ახორციელებს ლექტორების მონიტორინგს (ლექტორის მიერ სასწავლო კვირაში ფაქტობრივად ჩატარებული საათობრივი დატვირთვის ასახვა);

თ. ხელმძღვანელობს სკოლის საქმიანობას და კოორდინაციას უწევს სტრუქტურული ერთეულების ურთიერთობებს დეკანის არყოფნის დროს.

6.3. სკოლის დეკანის მოადგილის უფლებამოსილების შეწყვეტა

სკოლის დეკანს მოადგილეს უფლებამოსილება შეუწყდება:

ა. პირადი განცხადების საფუძველზე;

ბ. გარდაცვალების, სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო - უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევაში.

6.4. საქართველოს კანონმდებლობის დარღვევის, დაკისრებული მოვალეობების არაჯეროვნად შესრულების და/ან შეუფერებელი საქმიანობის განხორციელების შემთხვევაში, დეკანს შეუძლია მიმართოს რექტორს დეკანის მოადგილის უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე.

მუხლი 7. კლინიკური უნარების ცენტრი

7.1. ცენტრს ხელმძღვანელობს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი;

7.2. ცენტრის ხელმძღვანელის ფუნქციებია:

ა. ლაბორატორიებში საჭირო მატერიალური რესურსების შეფასება (გამართული მუშაობა) და ცვეთის გამო დაზიანებული სიმულატორების იდენტიფიცირება და ახლით ჩანაცვლების მოთხოვნის წარდგენა დეკანატისათვის;

ბ. ლაბორატორიებში შრომის უსაფრთხოების უზრუნველყოფა;

გ. ლაბორატორიებში საჭირო სახარჯი მასალის აღწერა და საჭიროების შემთხვევაში დეკანატისათვის მოთხოვნის მიწოდება;

დ. სტრუქტურირებულ კლინიკური/პრაქტიკული გამოცდის ორგანიზებულობაში ჩართულობა.

მუხლი 8. კლინიკური სწავლების ცენტრი

8.1. ცენტრს ხელმძღვანელობს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი;

8.2. ცენტრის ხელმძღვანელის ფუნქციებია:

ა. კლინიკური სასწავლო კურსების სწავლების ხარისხში ჩართულობა (ლექტორების, სტუდენტების უკუკავშირის მიმოხილვა);

ბ. საჭიროების შემთხვევაში პროგრამით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის უზრუნველყოფის მიზნით შესაბამისი ორგანიზაცია/დაწესებულებების მოძიება და მათთან თანამშრომლობის ინიცირებაში ჩართულობა;

გ. ინტეგრირებული კლინიკური სასწავლო კურსების ტესტების შედგენის მენეჯმენტი;

დ. ინტეგრირებული კლინიკური სასწავლო კურსების მენეჯმენტი.

მუხლი 9. საბაზისო სასწავლო კურსების ცენტრი

9.1. ცენტრს ხელმძღვანელობს ხელმძღვანელი, რომელსაც თანამდებობაზე ნიშნავს და ათავისუფლებს უნივერსიტეტის რექტორი;

9.2. ცენტრის ხელმძღვანელის ფუნქციებია:

ა. საბაზისო სასწავლო კურსების სწავლების ხარისხში ჩართულობა (ლექტორების, სტუდენტების უკუკავშირის მიმოხილვა);

ბ. ინტეგრირებული კლინიკური სასწავლო კურსების ტესტების შედგენის მენეჯმენტი;

გ. ინტეგრირებული კლინიკური სასწავლო კურსების მენეჯმენტი.

მუხლი 10. სტუდენტების კოორდინატორი

10.1. ახდენს სასწავლო პროცესის განხორციელების ორგანიზაციულ უზრუნველყოფას:

10.2. ახორციელებს სასწავლო პროცესის მიმდინარეობის მონიტორინგს და შემოწმების პროცესში გამოვლენილი დარღვევების დასაფიქსირებლად ადგენს შესაბამის დოკუმენტს;

10.3. მონიტორინგის განხორციელებისას მოპოვებულ მასალებს წარუდგენს დეკანს შემდგომი რეაგირების მიზნით;

10.4. ახორციელებს მონიტორინგს სტუდენტთა შუალედური და დასკვნითი/დამატებითი გამოცდების შედეგების აღრიცხვაზე;

10.5. სკოლის სტუდენტებთან აქვს კომუნიკაცია მათი სასწავლო პროცესსა და საუნივერსიტეტო ცხოვრებაში ჩართვის მიზნით:

ა. ახდენს სტუდენტების კონსულტირებას სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ საკითხებზე;

ბ. ახდენს სტუდენტების ინფორმირებას სასწავლო ცხრილში შეტანილი ცვლილებების, დაგეგმილი ლექცია - პრაქტიკული მეცადინეობის შესაძლო გაცდენა/აღდგენის შესახებ;

გ. ახდენს სტუდენტების ინფორმირებას აკადემიური კალენდრით განსაზღვრული აქტივობების შესახებ, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფორმირების შესახებ, თავისუფალი კომპონენტის და/ ან დამატებითი პროგრამის (არსებობის შემთხვევაში) არჩევის შესახებ.

10.6. მონაწილეობს სტუდენტთა შიდა და გარე მობილობის პროცესში და ეხმარება მობილობის წესით ჩარიცხულ სტუდენტს ადაპტაციასა და სასწავლო პროცესში სრულფასოვნად ჩართვაში;

10.7. ახორციელებს პროფესორთა კონსულტაციების მონიტორინგს.

მუხლი 11. სკოლის საბჭო და მისი უფლებამოსილება

11.1. ჯანდაცვის სკოლის საბჭო (შემდგომში "საბჭო") სკოლის წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს სკოლის მართვას;

11.2. სკოლის წარმომადგენლობითი ორგანოა სკოლის საბჭო, რომლის შემადგენლობაში შედიან: დეკანი, დეკანის მოადგილე (არსებობის შემთხვევაში), საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელები, აფილირებული პერსონალი და სკოლის მიერ რეალიზებული პროგრამის/პროგრამების სტუდენტები საბჭოს შემადგენლობის 1/3 - ის ოდენობით;

11.3. სკოლის საბჭოს წევრთა არჩევა ხდება 4 (ოთხი) წლის ვადით. სკოლის საბჭოში სტუდენტთა არჩევა ხდება 4 (ოთხი) წელიწადში ერთხელ სკოლის სტუდენტების მიერ, პირდაპირი, თავისუფალი და თანასწორი არჩევნების გზით, ფარული კენჭისყრით. არჩევნების ორგანიზებას უზრუნველყოფს სტუდენტური თვითმმართველობა;

11.4. სკოლის საბჭოს თავმჯდომარეობს დეკანი;

11.5. სკოლის საბჭოს მიერ გაწეული საქმიანობის ორგანიზაციულ უზრუნველყოფას და საქმის წარმოებას ახორციელებს სკოლის საბჭოს მდივანი, რომელიც აირჩევა სკოლის საბჭოს პირველ სხდომაზე.

სკოლის საბჭოს მდივანი:

ა. უზრუნველყოფს სკოლის საბჭოს სახელზე შემოსული წერილებისა და დოკუმენტების აღრიცხვა - შენახვას;

ბ. ამზადებს წერილებისა და საბჭოზე განსახილველი საკითხების პროექტებს;

გ. ამზადებს სკოლის საბჭოს სხდომებს;

დ. უზრუნველყოფს დოკუმენტების გამრავლებას;

ე. აწარმოებს საბჭოს სხდომის ოქმს.

11.6. სკოლის საბჭოს უფლებამოსილებები

ა. ანიჭებს კურსდამთავრებულებს შესაბამის აკადემიურ ხარისხს არსებული საკანონმდებლო რეგულაციების შესაბამისად;

ბ. სკოლის საბჭო დეკანის წარდგინებით შეიმუშავებს სკოლის დებულებას და დასამტკიცებლად წარუდგენს

სენატს;

გ. განსაკუთრებული დამსახურებისათვის საპატიო დოქტორის წოდების მინიჭების მიზნით არჩევს საქართველოს ან უცხო ქვეყნის მოქალაქე მეცნიერს ან საზოგადო მოღვაწეს, რომელსაც საპატიო დოქტორის წოდების მისანიჭებლად წარუდგენს სენატს;

დ. უზრუნველყოფს აკადემიური საგანმანათლებლო პროგრამების, ასევე პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსების მომზადებას და განხორციელებას პროგრამის განმავითარებელ ჯგუფთან ერთად, რომელსაც უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან შეთანხმების შემდეგ დასამტკიცებლად წარუდგენს სენატს;

ე. ქმნის სკოლის მუდმივმოქმედ და დროებით კომისიებს და დასამტკიცებლად წარუდგენს რექტორს;

ვ. განიხილავს სხვადასხვა სასწავლო და სამეცნიერო - კვლევითი ხასიათის პროექტებს;

ზ. შეიმუშავებს უნივერსიტეტის მიზნობრივი სამეცნიერო - კვლევითი პროექტის დასაფინანსებლად კონკურსის ჩატარების პირობებსა და წესებს და დასამტკიცებლად წარუდგენს უნივერსიტეტის რექტორს;

თ. თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობს აკადემიური, მოწვეული პერსონალისა და სტუდენტების დისციპლინური გადაცდომის საკითხის განხილვაში;

ი. სკოლის აკადემიური კონკურსის გამოცხადების საჭიროების თაობაზე მიმართავს რექტორს კონკურსის გამოცხადების შესახებ;

კ. მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, მოდიფიცირების და მათი სრულყოფის პროცესში;

ლ. ახორციელებს საქართველოს კანონმდებლობით და უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებას.

11.7. სკოლის საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა

სკოლის საბჭოს წევრს უფლებამოსილება შეწყვეტის საფუძველია:

ა. უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობიდან გათავისუფლება;

ბ. დეკანის თანამდებობიდან გათავისუფლება;

გ. სკოლის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა;

დ. სასამართლოს მიერ ქმედუუნაროდ, უგზო - უკვლოდ ან გარდაცვლილად ცნობის შემთხვევა;

ე. მის მიმართ სასამართლოს მიერ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლის შემთხვევა.

მუხლი 12. სხდომების ჩატარებისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

12.1. სკოლის საბჭოს სხდომას იწვევს სკოლის დეკანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - დეკანის მოადგილე ან შესაბამისი პირი;

12.2. სკოლის საბჭოს სხდომა შესაძლებელია მოწვეულ იქნას სკოლის საბჭოს წევრთა 1/3 - ის გადაწყვეტილებით;

12.3. სკოლის საბჭო პირველ სხდომაზე ცნობს თავის უფლებამოსილებას;

12.4. სკოლის საბჭოს სხდომები ტარდება საჭიროებისამებრ, მაგრამ არანაკლებ სემესტრში ერთხელ;

12.5. სკოლის საბჭოს სხდომებს თავმჯდომარეობს სკოლის დეკანი, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში - დეკანის მოადგილე ან სკოლის საბჭოს დამსწრე წევრთა უმრავლესობით არჩეული პირი;

12.6. სკოლის საბჭოს სხდომა უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილება თუ სხდომას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა, საკითხის გადაწყვეტა ხდება ღია კენჭისყრით, გადაწყვეტილება მიღებულად ჩაითვლება, თუ ხმას მისცემს სკოლის საბჭოს საერთო შემადგენლობის უმრავლესობა. კენჭისყრა შეიძლება ჩატარდეს ფარულად, თუ ამას მხარს დაუჭერს საბჭოს უმრავლესობა;

12.7. სკოლის საბჭოს წევრთა შეკრებისა და სხდომის ჩატარების, აგრეთვე, გადაწყვეტილების მიღების ფაქტზე დგება სხდომის ოქმი, რომელსაც ხელს აწერს სკოლის დეკანი (მისი არყოფნის შემთხვევაში - არჩეული თავმჯდომარე) და მდივანი.

მუხლი 13. სკოლის პერსონალი

13.1. სკოლაში არსებობს აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი;

13.2. სკოლის აკადემიურ პერსონალს მიეკუთვნება:

ა. პროფესორი;

ბ. ასოცირებული პროფესორი;

გ. ასისტენტ - პროფესორი;

დ. ასისტენტი.

13.3. სკოლის აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები

13.3.1. აკადემიური პერსონალი უფლებამოსილია:

ა. მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში ამ დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ბ. ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;

გ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

დ. განახორციელოს ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

13.3.2. აკადემიური პერსონალი ვალდებულია:

ა. დაიცვას უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ. დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

გ. შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

13.4. აკადემიური პერსონალის არჩევის წესი, მათი უფლებები და ვალდებულებები განისაზღვრება

საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის დებულებით, უნივერსიტეტის პერსონალის მართვის წესით და სხვა სამართლებრივი აქტებით;

13.5. აკადემიური პერსონალი შეიძლება იყოს აფილირებული. აფილირება გულისხმობს, უნივერსიტეტსა და აკადემიური თანამდებობის მქონე პირს შორის წერილობით შეთანხმებას, რომლითაც თითოეული აკადემიური თანამდებობის მქონე პირი განსაზღვრავს თავის აფილირებას მხოლოდ ერთ უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში;

13.6. აფილირებული აკადემიური პერსონალის უფლებამოსილება და სხვა საქმიანობა რეგულირდება უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების წესის და პირობების დოკუმენტის შესაბამისად;

13.7. სკოლაში საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგით გათვალისწინებული მიზნების მისაღწევად შეიძლება მოწვეულ იქნეს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული პერსონალი;

13.7.1. მოწვეული პერსონალი უფლებამოსილია:

ა. მონაწილეობა მიიღოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვაში ამ დებულების და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ბ. ჩარევის გარეშე განახორციელოს სწავლება, კვლევა, შემოქმედებითი საქმიანობა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნება;

გ. საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში დამოუკიდებლად განსაზღვროს სასწავლო კურსის პროგრამების (სილაბუსების) შინაარსი, სწავლების მეთოდები და საშუალებები;

დ. განახორციელოს ამ დებულებით და უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტებით მათთვის მინიჭებული სხვა უფლებამოსილება.

13.7.2. მოწვეული პერსონალი ვალდებულია:

ა. დაიცვას უნივერსიტეტის სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული მოთხოვნები;

ბ. დაიცვას ეთიკის კოდექსი და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმები;

გ. შეასრულოს შრომითი ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მუხლი 14. საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელი

14.1. საგანმანათლებლო პროგრამას/პროგრამებს ხელმძღვანელობს სკოლის აკადემიური/მოწვეული პერსონალი.

14.2. პროგრამის ხელმძღვანელის/თანახელმძღვანელის ფუნქციები:

ა. პროგრამები შეადგინონ უნივერსიტეტში მოქმედი სამართლებრივი აქტების შესაბამისად;

ბ. პროგრამების შემუშავებისას იხელმძღვანელონ უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის მიერ შემუშავებული სამართლებრივი აქტებით;

გ. პროგრამის შინაარსი და ფორმატი შეათანხმონ უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სამსახურის ხელმძღვანელთან;

დ. პროგრამის შემუშავებისას იხელმძღვანელონ უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონით, განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის სამართლებრივი აქტებით;

ე. პროგრამა საბოლოო დამუშავებისა და დამტკიცებისათვის წარედგინება უნივერსიტეტის სენატს.

მუხლი 15. სკოლის ბიუჯეტი

15.1. სკოლის ბიუჯეტი წარმოადგენს უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს;

15.2. უნივერსიტეტის დებულებით და წინამდებარე დებულებით დადგენილი წესით, სკოლა მონაწილეობს უნივერსიტეტის ბიუჯეტის ფორმირების პროცესში.

მუხლი 16. გარდამავალი და დასკვნითი დებულებები

16.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

16.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

16.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

16.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.